

ინსტრუქცია

საქართველოს საჯარო მოსამსახურეთა პროფესიული კავშირის პროფკავშირული ორგანოების არჩევნების შესახებ

I. ზოგადი დებულებანი

1.1. საქართველოს საჯარო მოსამსახურეთა პროფესიული კავშირის (შემდგომში პროფესიული კავშირი) წარმომადგენლობითი (არჩევითი) ხელმძღვანელი ორგანოები (შემდგომში პროფკავშირული ორგანოები) ის ორგანოებია, რომლებიც არჩეულია (ფორმირებულია) პროფესიული კავშირის წესდების, პირველადი პროფკავშირული ორგანიზაციის და მუნიციპალიტეტის და რესპუბლიკური ორგანიზაციის დებულებების შესაბამისად.

1.2. პროფკავშირულ ორგანოებს ირჩევენ პროფესიული კავშირის, პირველადი, გაერთიანებული, მუნიციპალიტეტის, რესპუბლიკური ორგანიზაციების უმაღლესი ორგანოები – კონგრესი, კონფერენცია, საანგარიშო-საარჩევნო კრება.

1.3. პროფკავშირულ ორგანიზაციაში, სადაც აღრიცხვაზეა 100-მდე პროფესიული კავშირის წევრი უმაღლესი ორგანოა საანგარიშო-საარჩევნო კრება, ხოლო, სადაც აღრიცხვაზეა 100-ზე მეტი პროფესიული კავშირის წევრი – კონფერენცია.

1.4. პროფესიული კავშირის და პროფკავშირული ორგანიზაციების უმაღლესი ორგანოები (კონგრესი, კონფერენცია, საანგარიშო-საარჩევნო კრება), უფლებამოსილია მიიღოს დადგენილებები, თუ მის მუშაობაში მონაწილეობს კონგრესის, კონფერენციის დელეგატთა, კრების მონაწილეთა სიითი შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედი, მათ მიერ არჩეული (ფორმირებული) პროფკავშირული ორგანოები კი თუ მის მუშაობაში მონაწილეობს სიითი შემადგენლობის (საერთო რაოდენობის) ნახევარზე მეტი მაინც.

II. პროფკავშირის წარმომადგენლობითი (არჩევითი) ხელმძღვანელი ორგანოები

2.1. პირველად პროფკავშირულ ორგანიზაციაში, სადაც აღრიცხვაზეა პროფკავშირის 20 წევრზე ნაკლები აირჩევა პროფკავშირული ორგანიზატორი (პროფკავშირული ორგანო არ აირჩევა), რომელიც მოქმედებს პროფკავშირის წევრთა კრების რწმუნებით;

2.2. პროფესიული კავშირის წარმომადგენლობითი (არჩევითი) ხელმძღვანელი ორგანოებია:

- ა) პირველადი პროფკავშირული ორგანიზაციისათვის, სადაც აღრიცხვაზეა პროფკავშირის 15 და მეტი წევრი - პროფკავშირის კომიტეტი, გაერთიანებული პროფკავშირული ორგანიზაციისათვის - გაერთიანებული კომიტეტი;
- ბ) მუნიციპალიტეტის და, რესპუბლიკური ორგანიზაციისათვის – მუნიციპალიტეტის და რესპუბლიკური კომიტეტი;
- გ) პროფესიული კავშირისათვის – გამგეობა.

III. პროფკავშირული ორგანოების კომპეტენცია და უფლებამოსილების ვადები

3.1. პროფკავშირული ორგანოების კომპეტენცია და უფლებამოსილებები განსაზღვრულია პროფესიული კავშირის წესდებით, პირველადი პროფკავშირული ორგანიზაციის და მუნიციპალიტეტის და რესპუბლიკური ორგანიზაციის დებულებების შესაბამისად და ნაწილობრივ ამ ინსტრუქციით.

3.2. პროფკავშირული ორგანოების არჩევნები ტარდება:

- ა) პროფორგანიზატორის (პროფჯგუფორგის) – ორ წელიწადში ერთხელ;
- ბ) პირველად, მუნიციპალიტეტის, რესპუბლიკურ ორგანიზაციაში ოთხ წელიწადში ერთხელ;
- გ) პროფესიულ კავშირში ოთხ წელიწადში ერთხელ.

IV. საანგარიშო-საარჩევნო კრების, კონფერენციის, კონგრესის მოწვევისა და ჩატარების წესი

4.1. საანგარიშო-საარჩევნო კრებების, კონფერენციების (შემდგომში კრება, კონფერენცია) და კონგრესის ჩატარების შესახებ დადგენილებას იღებს პროფესიული კავშირის გამგეობა.

4.2. საანგარიშო-საარჩევნო კრებებს, (კონფერენციებს) იწვევენ პროფკავშირული ორგანიზაციების შესაბამისი წარმომადგენლობითი (არჩევითი) ხელმძღვანელი ორგანოები.

4.3. პროფესიულ კავშირში ანგარიშგება-არჩევნები და კონფერენციები იწყება პროფესიული კავშირის ქვედა სტრუქტურული ქვედანაყოფებიდან.

4.4. საანგარიშო-საარჩევნო კრების, კონფერენციის მოწვევის თაობაზე დადგენილება მიღებულ უნდა იქნას კონგრესამდე ექვსი თვით ადრე, ხოლო პროფესიული კავშირის კონგრესის მოწვევის თაობაზე ორი თვით ადრე მაინც.

4.5. პირველადი, მუნიციპალიტეტის, რესპუბლიკური პროფკავშირული, ორგანიზაციის ანგარიშგება-არჩევნებთან დაკავშირებულ ყველა საკითხს წყვეტს პროფკავშირის კომიტეტი.

4.6. კონგრესზე დელეგატების წარმომადგენლობის ნორმები განსაზღვრულია

პროფესიული კავშირის წესდების 6.3. მუხლით, ხოლო მუნიციპალიტეტის და რესპუბლიკური ორგანიზაციის კონფერენციის დელეგატთა კვოტას განსაზღვრავს - პროფესიული კავშირის გამგეობა კონგრესამდე 6 თვით ადრე მაინც.

4.7. პროფესიული კავშირის კონგრესი, პროფკავშირული ორგანიზაციების კონფერენციები, კრებები ირჩევენ თავმჯდომარეს, ხოლო თავმჯდომარის წარდგენით თავმჯდომარის მოადგილეს (მოადგილეებს). თუ თავმჯდომარის მიერ ორჯერ წარდგენილი კანდიდატურა (კანდიდატურები) არ იქნა არჩეული, მაშინ კანდიდატურას (კანდიდატურებს) წამოაყენებს კრების მონაწილენი, კონფერენციის, კონგრესის დელეგატები. კენჭისყრის ფორმას (დახურული, ღია) განსაზღვრავს კრება, კონფერენცია, კონგრესი:

4.8. კონგრესზე, კონფერენციაზე, კრებაზე არჩეული:

ა) თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილეები ავტომატურად ხდებიან შესაბამისი პროფკავშირული ორგანოს წევრები და მორიგი (რიგარეშე) კონფერენციის, კონგრესის დელეგატები.

ბ) საკონტროლო-სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე ავტომატურად ხდება საკონტროლო-სარევიზიო კომისიის წევრი და მორიგი (რიგარეშე) კონფერენციის, კონგრესის დელეგატი.

V. პროფკავშირული ორგანოების არჩევნების ჩატარების წესი

5.1. პროფესიული კავშირის და პროფკავშირული ორგანიზაციების პროფკავშირული ორგანოს არჩევა ხდება უშუალოდ კრებაზე, კონფერენციაზე, კონგრესზე.

5.2. პროფკავშირულ ორგანოში წევრთა რაოდენობას განსაზღვრავს, კრება, კონფერენცია, კონგრესი და ირჩევს მის შემადგენლობას ღია ან დახურული (ფარული) კენჭისყრით. ასეთივე წესით ირჩევს საკონტროლო-სარევიზიო კომისიას.

5.3. საკონტროლო-სარევიზიო კომისიის თავმჯდომარის არჩევა ხდება კომისიის წევრთაგან საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე, კონფერენციაზე, კონგრესზე ღია ან დახურული (ფარული) კენჭისყრით.

5.4. კონფერენცია, კონგრესი საკუთარ პროფკავშირულ ორგანოებში არჩეულ (დელეგირებულ) წევრთა უფლებამოსილების ცნობის შემდეგ ირჩევს სხვა ხელმძღვანელ პროფკავშირულ ორგანოებში ასარჩევ წევრებს.

5.5. კრების, კონფერენციის, კონგრესის მუშაობისათვის ღია კენჭისყრით ირჩევენ სამუშაო ორგანოებს: პრეზიდიუმს, სამანდატო, საპროცედურო, სარედაქციო კომისიებს, სამდივნოს და სხვა ორგანოებს, ხოლო პროფკავშირული კრებისთვის პრეზიდიუმს, ან თავმჯდომარესა და მდივანს.

5.6 მუნიციპალიტეტის და რესპუბლიკური ორგანიზაციების კონფერენციის დელეგატებს ირჩევენ შესაბამისი პროფკავშირული ორგანიზაციების საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე, კონფერენციებზე. კონგრესის დელეგატებს კი პირველადი, გაერთიანებული, მუნიციპალიტეტის და რესპუბლიკური ორგანიზაციების საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე და კონფერენციებზე.

VI. თავმჯდომარის თანამდებობაზე კანდიდატურის (კანდიდატურების) წარდგენა და განხილვა

6.1. პროფკავშირული ორგანოების არჩევნები ტარდება კრების, კონფერენციის, კონგრესის მიერ შესაბამისი პროფკავშირული ორგანოს, საკონტროლო-სარევიზიო კომისიის ანგარიშის მოსმენის, განხილვისა და მათ შესახებ დადგენილების მიღების შემდეგ.

6.2. კრებაზე, კონფერენციაზე, კონგრესზე პირველ რიგში ასარჩევად წარდგენილი (დასახელებული) უნდა იქნას თავმჯდომარის კანდიდატურები.

6.3. თავმჯდომარის კანდიდატურის წარდგენის (დასახელების) უფლება კრებაზე აქვს ნებისმიერ პროფესიული კავშირის წევრს, დელეგატს, შესაბამის პროფკავშირულ ორგანოს;

6.4. წარდგენილი (დასახელებული) კანდიდატურები კენჭისყრის სიაში შეიტანება დასახელების რიგითობის მიხედვით.

6.5. საკუთარი კანდიდატურის წამოყენების უფლება აქვს პროფკავშირის ნებისმიერ წევრს, რომელიც აღრიცხვაზეა შესაბამის პროფკავშირულ ორგანიზაციაში არის კონფერენციის, კონგრესის დელეგატი.

6.6. თავმჯდომარის არჩევის შემდეგ პროფესიული კავშირის, მისი სტრუქტურული ქვედანაყოფის უმაღლესი ორგანო (კონგრესი, კონფერენცია, საანგარიშო-საარჩევნო კრება) თავმჯდომარის წარდგინებით ირჩევს თავმჯდომარის მოადგილეს (მოადგილეებს).

6.7. თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილეების თანამდებობაზე შეიძლება წარდგენილ იქნენ კანდიდატურები მხოლოდ კრების მონაწილე პროფკავშირის წევრთაგან, კონფერენციის, კონგრესის დელეგატთაგან;

6.8. თავმჯდომარის მოადგილის (მოადგილეების) არჩევის შემდეგ კრება, კონფერენცია, ყრილობა ირჩევს პროფკავშირულ ორგანოსა და საკონტროლო-სარევიზიო კომისიის შემადგენლობას.

6.9. პროფკავშირული ორგანოს არჩევის შემდეგ კრება, კონფერენცია, ირჩევს სხვა პროფკავშირულ ორგანოში (პროფესიულ კავშირის,

მუნიციპალიტეტის, რესპუბლიკური) კონფერენციის, კონგრესის ასარჩევ დელეგატების კანდიდატურებს. კანდიდატურები სიაში შეტანება წარდგენის რიგითობის მიხედვით.

6.10. თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილეების პროფკავშირულ ორგანოში ასარჩევ წევრთა, (საკონტროლო-სარევიზიო კომისიის წევრთა), დელეგატების კანდიდატურებს ცალ-ცალკე წამოაყენებენ კრების მონაწილენი, კონფერენციის, კონგრესის დელეგატები.

6.11. წინადადება კანდიდატურათა დასახელების შეწყვეტის თაობაზე ისმება კრების, კონფერენციის, კონგრესის წინაშე.

6.12. კრების მონაწილენი, კონფერენციის, კონგრესის დელეგატები, განიხილავენ წარმოდგენილ კანდიდატურებს პერსონალურად, ეცნობიან კანდიდატთა საარჩევნო პლატფორმებს. კრების თითოეულ მონაწილეს, კონფერენციის, კონგრესის დელეგატს აქვს კანდიდატურის აცილების, ნებისმიერი მათგანის კრიტიკის შეუზღუდავი უფლება.

6.13. კანდიდატურები, რომელთა შესახებ აცილება არ შესულა პირდაპირ შეიტანებიან კენჭისყრის სიაში. (კანდიდატურების განხილვისას სასურველია უპირატესობა მიენიჭოს მათ საქმიან თვისებებს, კვალიფიკაციას, პროფესიული კავშირის წევრთა სოციალურ-ეკონომიკური ინტერესების დაცვისას გამოვლენილ პრინციპულ პოზიციას და სხვა).

6.14. თუ რომელიმე კანდიდატურის მიმართ იქნება აცილება ან ესა თუ ის ასარჩევი კანდიდატი აცილებას მისცემს საკუთარ კანდიდატურას საჭიროა თითოეულ შემთხვევაში კენჭისყრაზე დაისვას საკითხი შეტანილ იქნას თუ არა ესა თუ ის კანდიდატურა კენჭისყრის სიაში. კანდიდატურა კენჭისყრის სიაში არ შეიტანება თუ მას მხარი არ დაუჭირა კრებაზე, კონფერენციაზე, კონგრესზე დამსწრეთა ნახევარზე მეტმა.

VII. დახურული (ფარული) კენჭისყრა

7.1. თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილეების პროფკავშირულ ორგანოში ასარჩევი წევრების, საკონტროლო-სარევიზიო კომისიის წევრების, დელეგატების არჩევნები ტარდება ღია ან დახურული (ფარული) კენჭისყრით. არჩევნების ჩატარების წესის შესახებ გადაწყვეტილებას ღებულობს საანგარიშო-საარჩევნო კრება, კონფერენცია, კონგრესი.

7.2. პროფკავშირული ორგანოს არჩევნებში მონაწილეობას იღებენ მხოლოდ ამ პროფკავშირული ორგანიზაციის წევრები, კონფერენციის, კონგრესის დელეგატები (შემდგომში ამომრჩეველი).

7.3. დახურული (ფარული) კენჭისყრის ჩასატარებლად კრება, კონფერენცია, კონგრესი ირჩევს ხმის დამთვლელ კომისიას.

VIII. ხმის დამთვლელი კომისია

- 8.1. ხმის დამთვლელი კომისიის (შემდგომში კომისია) წევრთა რაოდენობრივ და პერსონალურ შემადგენლობას ამტკიცებს კრება, კონფერენცია, კონგრესი. თავმჯდომარის თანამდებობაზე წარგენილ კანდიდატურას უფლება აქვს კომისიაში დამატებით დანიშნოს ერთი წევრი.
- 8.2. კომისია თავის სხდომაზე ირჩევს თავმჯდომარეს და მდივანს, რის თაობაზეც დგება ხმის დამთვლელი კომისიის ოქმი #1.
- 8.3. კომისიის სხდომა უფლებამოსილია თუ მის მუშაობაში მონაწილეობს კომისიის წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. დდადგენილება მიიღება დამსწრეთა ხმების უმრავლესობით. ხმათა გაყოფისას გადამწყვეტია კომისიის თავმჯდომარის ხმა.
- 8.4. კომისია საჭიროების შემთხვევაში კრებაზე, კონფერენციაზე, კონგრესზე ახორციელებს ღია კენჭისყრით ჩატარებული შედეგების დათვლას.
- 8.5. მმცირერიცხოვან პროფკავშირულ ორგანიზაციებში კენჭისყრის შედეგების დათვლა შეიძლება დაევალოს კრების თავმჯდომარეს ან პროფკავშირული ორგანიზაციის ერთ-ერთ წევრს. კენჭისყრის შედეგები შეტანილ უნდა იქნეს კრების ოქმში.
- 8.6. ხმის დამთვლელი კომისიის მუშაობის უზრუნველსაყოფად კრებამდე, კონფერენციამდე, კონგრესამდე უნდა შეირჩეს სამუშაო ოთახი, დამზადდეს საარჩევნო ყუთი, საარჩევნო კაბინა (კაბინები), შევსებული საარჩევნო ბიულეტენები, გამოყოფილ უნდა იქნას კომპიუტერი, ლუქი და კომისიას უნდა ჩაბარდეს შესაბამისი იურიდიული პირის ბეჭედი.
- 8.7. სამანდატო კომისიამ ხმის დამთვლელ კომისიას უნდა გადასცეს საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე დამსწრე პროფესიული კავშირის წევრთა, კონფერენციაზე, კონგრესზე დამსწრე დელეგატთა სია.
- 8.8. კომისია ამზადებს ბიულეტენებს დახურული (ფარული) კენჭისყრისათვის, რომლებშიც კანდიდატურები შეიტანება დასახელების (წარდგენის) რიგითობის მიხედვით.
- 8.9. კომისია განუმარტავს კრების მონაწილეებს, კონფერენციის, კონგრესის დელეგატებს დახურული (ფარული) კენჭისყრის ჩატარების წესებს.

IX. კენჭისყრის მოწყობა

- 9.1. კენჭისყრა ეწყობა საანგარიშო-საარჩევნო კრების, კონფერენციის, კონგრესის დარბაზში.
- 9.2. შენობაში უნდა იყოს ფარული კენჭისყრისთვის მოწყობილი ერთი ან რამდენიმე კაბინა და ერთი საარჩევნო ყუთი.
- 9.3. საარჩევნო ყუთი ისეთნაირად იდგმება, რომ ამომრჩეველი მასთან მისვლისას აუცილებლად გადიოდეს ფარული კენჭისყრის კაბინას.

კვაზინაში უნდა იყოს საწერი კალმები, გამოკრულ უნდა იქნას თვალსაჩინოება, თუ როგორ უნდა შეივსოს ბიულეტენი.

9.4. პასუხისმგებლობა კენჭისყრის ორგანიზაციისათვის, კენჭისყრის ფარულობის უზრუნველყოფისათვის ეკისრება ხმის დამთვლელ კომისიას, ხოლო პერსონალურად კომისიის თავმჯდომარეს.

9.5. კენჭისყრის დროს წესრიგის დაცვას ხელმძღვანელობს კომისიის თავმჯდომარე. მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება სავალდებულოა კენჭისყრაში მონაწილე ყველა პირისათვის.

9.6. კენჭისყრის დაწყებამდე კომისიის თავმჯდომარე (შემდგომში თავმჯდომარე) აცხადებს საარჩევნო ბიულეტენების რაოდენობას, რომელიც უნდა გაიცეს არჩევნებში მონაწილე პირებზე (დელეგატებზე).

9.7. თავმჯდომარე კომისიის წევრთა თანდასწრებით ამოწმებს და ლუქავს საარჩევნო ყუთს.

9.8. წითითოეული ამომრჩეველი ხმას პირადად აძლევს. სხვა პირთა ნაცვლად ხმის მიცემა დაუშვებელია.

9.9. ამომრჩეველს საარჩევნო ბიულეტენს გადასცემს კომისიის წევრები დელეგატის მანდატის წარდგენის საფუძველზე. დელეგატის მანდატის ნომერი შეიტანება სიაში.

9.10. საარჩევნო ბიულეტენის მიღებას ამომრჩეველი ადასტურებს სიაში ხელმოწერით.

X. კენჭისყრის ჩატარება

10.1. საარჩევნო ბიულეტენი მოწმდება საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის ან კომისიის წევრის ხელმოწერით და ბეჭდით;

10.2. საარჩევნო ბიულეტენებს ამომრჩეველი ავსებს ფარული კენჭისყრის კაბინაში.

10.3. თუ ამომრჩეველს უყურადღებობის გამო გაუფუჭდა საარჩევნო ბიულეტენი, მას შეუძლია ამის თაობაზე მიმართოს საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს, ჩააბაროს გაფუჭებული ბიულეტენი და მიიღოს ახალი. ბიულეტენს ამომრჩევლის თანდასწრებით ჩამოეჭრება კუთხე და ცალკე შეინახება;

10.4. შევსებულ ბიულეტენს ამომრჩეველი უშვებს საარჩევნო ყუთში.

10.5. კომისიის წევრებს უფლება აქვთ ამომრჩეველს მოთხოვონ უჩვენოს, რომ მას ხელთ მხოლოდ ერთი ბიულეტენი აქვს. ამომრჩეველი ვალდებულია დააკმაყოფილოს ეს მოთხოვნა.

10.6. კენჭისყრა დასრულებულად ითვლება, თუ კრების მონაწილეთაგან, კონფერენციის, კონგრესის დელეგატთაგან არავინ არ ითხოვს ხმის მიცემას.

XII. ხმის დათვლა

11.1. ხმის დათვლისას დაცულ უნდა იქნას შემდეგი თანმიმდევრობა:

- ა) კენჭისყრის დამთავრების შემდეგ ხმის დამთვლელი კომისია თვლის და პაკეტებად კრავს გამოუყენებელ საარჩევნო ბიულეტენებს და მას ხელს აწერს კომისიის თავმჯდომარე და წევრები. პაკეტს უნდა დაესვას ბეჭედი. დდაითვლება და ასევე პაკეტად შეიკვრება გაფუჭებული ბიულეტენები და იგი გაფორმდება ზემოთაღნიშნული წესით.
- ბ) ამომრჩეველთა სიების მიხედვით კომისია ადგენს ამომრჩეველთა საერთო რაოდენობას, რომელთაც მიიღეს ბიულეტენები.
- გ) კომისიის თავმჯდომარე კომისიის წევრების თანდასწრებით ამოწმებს საარჩევნო ყუთის მთლიანობას და ხსნის მას.
- დ) კომისია ცალკე ითვლის ყუთში დადგენილი წესით შევსებული ბიულეტენების რაოდენობას. ცალკე ითვლება ბათილად ცნობილი ბიულეტენების რაოდენობა.
- ე) საარჩევნო ბიულეტენი ბათილად უნდა იქნას ცნობილი, თუ შეუძლებელია დადგინდეს რომელ კანდიდატს მისცა ხმა ამომრჩეველმა. ყველა სხვა შემთხვევაში ბიულეტენი ნამდვილად ითვლება.
- ვ) კომისია ახარისხებს და ცალკე-ცალკე ითვლის ყოველი კანდიდატისათვის მიცემული ხმების რაოდენობას, ადგენს ხმის დამთვლელი კომისიის #2 ოქმს, რომელშიც მითითებულ უნდა იქნას კანდიდატების მიერ მიღებული ხმების რაოდენობა.
- ზ) ბიულეტენის ნამდვილობაში ეჭვის შეტანის შემთხვევაში საკითხს კენჭისყრით წყვეტს კომისია.

XII. კენჭისყრის შედეგები

12.1. ხმის დამთვლელი კომისია კრებას, კონფერენციას, კონგრესს მოახსენებს კენჭისყრის შედეგებს ცალ-ცალკე თითოეული კანდიდატურის მიხედვით. არჩევნების შედეგები მტკიცდება კრების, კონფერენციის, კონგრესის მიერ და შეიტანება ოქმში.

12.2. კრებაზე, კონფერენციაზე, კონგრესზე არჩეულად ითვლება კანდიდატურა, რომელსაც ხმა მისცა კრებაზე დამსწრე და კონფერენციაზე, კონგრესზე არჩევნებში მონაწილე დელეგატთა ნახევარზე მეტმა.

12.3. ახლადარჩეული თავმჯდომარე კრების, კონფერენციის, კონგრესის წინაშე წარადგენს მოადგილის (მოადგილეების) კანდიდატურას (კანდიდატურებს) ცალ-ცალკე, რომლებიც აირჩევიან ღია ან დახურული (ფარული) კენჭისყრით. თუ წამოყენებულმა კანდიდატმა ვერ მოაგროვა ხმების ნახევარზე მეტი, მაშინ თავმჯდომარე ხელახლა აყენებს სხვა კანდიდატურას, ვიდრე არ აირჩევა მოადგილე (მოადგილეები). თუ ასეთი

წესითაც არ მოხერხდა მოადგილის (მოადგილეების) არჩევა, მაშინ მათ წარადგენს (დაასახელებს) კრების მონაწილენი, კონფერენციის, კონგრესის დელეგატები.

12.4. თუ კენჭისყრის შედეგად თავმჯდომარის თანამდებობაზე არცერთი კანდიდატურა არ მიიღებს ნახევარზე მეტ ხმას მაშინ ბიულეტენში (სიაში) რჩება ორი კანდიდატურა, რომლებმაც მიიღეს ხმების მეტი რაოდენობა და კენჭისყრა ტარდება განმეორებით.

12.5. თუ კენჭისყრის შედეგებით ვერ ხერხდება ორი კანდიდატურის დარჩენა ბიულეტენში ხმების თანაბარი რაოდენობის გამო, მაშინ ყველა ისინი ბიულეტენში (სიაში) შეიტანება და ეს გრძელდება მანამ სანამ ერთ ერთი არ მოიპოვებს ხმების ნახევარზე მეტს. თუ ასეთი წესითაც არ მოხერხდა თავმჯდომარის არჩევა, მაშინ ხელახლა ტარდება კანდიდატურების წარდგენა, სანამ არ აირჩევა თავმჯდომარე. იგივე წესით ჩატარდება თავმჯდომარის მოადგილის (მოადგილეების) არჩევნები. თუ კრებამ, კონფერენციამ, კონგრესმა გადაწყვიტა მათი დახურული (ფარული) კენჭისყრით არჩევა.

12.6. დახურული (ფარული) კენჭისყრის ყველა მასალა ინახება შესაბამის პროფკავშირულ ორგანოში მომდევნო არჩევნებამდე საიდუმლო დოკუმენტების გრიფით და შემდეგ ნადგურდება აქტით.

12.7. წინამდებარე ინსტრუქციის წესების დარღვევის თაობაზე პრეტენზია მიიღება მხოლოდ საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე, კონფერენციაზე, კონგრესზე.

12.8. არჩევნების ჩატარების ინსტრუქციის წესის დარღვევის შემთხვევაში საანგარიშო-საარჩევნო კრება, კონფერენცია, კონგრესი ვალდებულია განიხილოს ეს ფაქტი და თუ ჩათვლის, რომ დარღვეულია წინამდებარე ინსტრუქციის მოთხოვნები აუქმებს არჩევნების შედეგებს და იღებს დადგენილებას ხელახალი არჩევნების ჩატარების შესახებ.

XIII. პროფკავშირული ორგანოდან, წევრთა გამოყვანის, გამოწვევის წესი

13.1. განსაკუთრებულ შემთხვევაში მორიგი კრების, კონფერენციის, კონგრესის მოწვევამდე შეიძლება დაისვას პროფესიული კავშირის თავმჯდომარის, პროფკავშირული ორგანოს თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილის (მოადგილეების) დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების (გადაყენების, უნდობლობის) და პროფკავშირული ორგანოს შემადგენლობიდან გამოყვანის საკითხი წესდებით დადგენილი წესის შესაბამისად. პროფკავშირული ორგანოს თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილის (მოადგილეების) თანამდებობიდან გადადგომის, უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის, საკუთარი ინიციატივით გათავისუფლების თაობაზე გადაწყვეტილება მიიღება სხდომაზე დამსწრეთა ხმების უმრავლესობით.

თავმჯდომარის, მოადგილის (მოადგილეების) მოვალეობის შემსრულებლები პროფკავშირული ორგანოს სხდომაზე აირჩევიან მხოლოდ შესაბამისი ორგანოს შემადგენლობიდან დამსწრეთა ხმების უმრავლესობით. ახლადარჩეული თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილის (მოადგილეების) მოვალეობის შემსრულებლები ხდებიან მორიგი კონფერენციის, კონგრესის დელეგატები.

13.2 კრების, კონფერენციის, კონგრესის მიერ არჩეული პროფკავშირული ორგანო (გამგეობა, კომიტეტი) უფლებამოსილია მისი შემადგენლობიდან გაიწვიოს პროფკავშირულ ორგანოში არჩეული წევრი (ავადმყოფობის, გარდაცვალების, სხვა სამუშაოზე გადასვლის. დაკისრებული მოვალეობის, გადაწყვეტილებების შეუსრულებლობის, ერთი წლის განმავლობაში სხდომის მუშაობაში მონაწილეობის მიუღებლობისათვის და სხვა შემთხვევაში) და მის ნაცვლად შიყვანოს მისი უფლებამონაცვლე პირი.

13.3 გადაწყვეტილება პროფკავშირული ორგანოდან გამოყვანის თაობაზე მიღებულად ჩაითვლება, თუ მას ხმა მისცა პროფკავშირული ორგანოს სხდომაზე დამსწრე წევრთა ნახევარზე მეტმა.

13.4 პროფკავშირული ორგანოდან გამოყვანილი წევრის (წევრების) ადგილს იკავებს შესაბამისი პროფკავშირული ორგანოს გადაწყვეტილებით ახალი არჩეული წევრი (წევრები).

XIV. დასკვნითი დებულებანი.

14.1. წინამდებარე ინსტრუქციის ან მისი ცალკეული მუხლების განმარტების უფლება ეკუთვნის საქართველოს საჯარო მოსამსახურეთა პროფესიულ კავშირს.